**ლია ეძგვერაძე, მირანდა კიკნაძე**

**პავოლ იოზეფ შაფარიკის უნივერსიტეტი კოშიცეში, სლოვაკეთი**

8-12 ივნისს, სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში, Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელებმა ლია ეძგვერაძემ და მირანდა კიკნაძემ მიიღეს მონაწილეობა როგორც აკადემიურ აქტივობებში, ისე კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში, რომლებიც პავოლ იოზეფ შაფარიკის უნივერსიტეტში იმართებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ქალაქ კოშიცეს ისტორიას, ადგილობრივ კულტურას და ტრადიციებს

საერთაშორისო კვირეულს დაესწრო 10-მდე უნივერსიტეტის 15-მდე წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეეყნიდან. პროგრამა მოიცავდა შეხვედრებს, პრეზენტაციებს, რომელთა ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის პროფესიული კავშირების დამყარება და სამომავლო თანამშრობლობის პერსპექტივების განხილვა.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების, აკადემიური პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე ახალი კავშირების დამყარება.